

# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები

*ჩხეიძე ია – ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Juvenile Justice - Achievements and Challenges

*Chkheidze Ia – Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** Juvenile Justice - The field that is now being created in the Georgian legal space and has a significant improvement in small period of development.

Until 2016, individual issues of criminal liability and criminal proceedings against juveniles were regulated by the Criminal Code and Criminal Procedure Code. In the Code of Criminal Procedure the peculiarities of the criminal proceedings against juveniles were only 1 chapter, which was quite superficially regulated.

The aim of the report is to get acquainted with the innovations and achievements of the juvenile justice system. In our country there is already a juvenile justice code that covers issues related to criminal liability, criminal prosecution and penitentiary system towards juveniles. Juvenile justice is already institutionalized, even though the juvenile court or investigative structure is not independent.

The purpose of the research is to discuss the gaps in juvenile justice.

**Research methodology:** The method of comparative analysis, review and statistical research was used during the work.

Through comparative analysis, it is possible to share experiences of foreign states and review one-year practice in Georgia. Statistical information in the field of juvenile justice indicates quite interesting trends.

**Results and implications:** As a result of the research, we have learned quite interesting history of juvenile justice development.

Establishment of the juvenile justice and creating separate systems in America and Europe. The idea for transferring the supervisory offenders to the supervisor appeared in the United States in the 70s of the 19th century.

Later, in the United States, in the state of Illinois, in 1899, a juvenile court was created. The first important legal acts against juveniles were adopted in England in 1908, and in 1914, based on American experience, has been established the Juvenile Court in France.

Today there are two models of juvenile justice, such as: Anglo-Saxon Juvenile Justice and European Juvenile Justice. The general mark characteristic for both models of juvenile justice is liberalization of of Juvenile Justice Sentences and courts of minors. The particular characteristic of the European Juvenile Justice is the involvement of judicial elements restored in juvenile justice and taking into account diversion systems. The Georgian jurisprudence shared the experience of the European Juvenile System and brought into the Juvenile Justice System a diversion-mediation program.

As a result of the Georgian Juvenile Justice Study it became clear, How liberal are the approaches in relation to juveniles in conflict with the law, which is indicative of high indicator of diversion and low indicator of use of detention towards juveniles.

**Conclusion:** Thus, of the juvenile justice system is actually now being formed, and it is natural that the great achievements of a number of issues which still need to be solved. Among them, there are separate legislative norms, which need refine. The legislative norms must be formed so that practice can't be given their ambiguous and unmatched understanding.

However, it is impossible to conclude that achievements in juvenile justice, which were achieved in short time.

**Keywords:** juvenile, minor, diversion, specialisation, mediation.

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სფერო, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახლა იქმნება და განვითარების მცირე პერიოდში მნიშვნელოვან წინსვლა გვაქვს სახეზე.

2016 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სისხლის-სამართალწარმოების ცალკეული საკითხები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირდებოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართალწარმოების თავისებურებებს მხოლოდ 1 თავი ეთმობოდა, რომელიც საკმაოდ ზერელედ არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს.

მოხსენების მიზანი იმ სიახლეებისა და მიღწევების გაცნობაა რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში იქნა მიღწეული. ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

კოდექსი, რომელიც თავს უყრის არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, სისხლისსამართალწარმოების და პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უკვე ინსტიტუციურად ყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო ან საგამომიებო სტრუქტურა დამოუკიდებელი სახით არ არსებობს. კვლევის მიზანს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზებზე მსჯელობაც წარმოადგენს.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა შედარებითი ანალიზის, მიმოხილვისა და სტატისტიკური კვლევის მეთოდი.

შედარებითი ანალიზის გზით შესაძლებელი გახდა უცხო სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება და საქართველოში ერთწლიანი პრაქტიკის მიმოხილვა. საკმაოდ საინტერესო ტენდენციებზე მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სტატისტიკური ინფორმაცია.

**შედეგები და გამოყენება:** კვლევის შედეგად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების საკმაოდ საინტერესო ისტორიას გავეცანით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოყალიბება და ცალკე სისტემების შექმნა ამერიკასა და ევროპაში იწყება. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში პირველად აშშ-ში ჩნდება არასრულწლოვან დამნაშავეთა სამეურვეო მეთვალყურეობაში გადაცემის იდეა. მოგვიანებით ილინოისი შტატში - 1899 წელს, იქმნება არასრულწლოვანთა სასამართლო. არასრულწლოვანთა მიმართ პირველი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები მიღებული იქნა ინგლისში 1908 წელს, ხოლო 1914 წელს ამერიკის გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება არასრულწლოვანთა სასამართლო საფრანგეთშიც.

დღეს უკვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორ მოდელს გამოყოფენ, ესენია: ანგლო-საქსური იუვენალური იუსტიცია და ევროპული იუვენალური იუსტიცია. ქართლმსა სამართლებრივმა სისტემამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ევროპულ იუვენალურ იუსტიციაზე დააფუძნა.

ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კვლევის შედეგად ნათელი გახდა თუ რაოდენ ლიბერალურია მიდგომები კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, რაზეც არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების მაღალი და მათ მიმართ პატიმრობის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს.

**დასკვნა:** ამდენად, საქართველოსთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო ფაქტობრივად ახლა ყალიბდება და ბუნებრივია, რომ დიდ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხების რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. მათ შორის, დასახვეწია ცალკეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც პრაქტიკას არ მისცემს ორაზროვანი და არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას. თუმცა, დასკვნის სახით შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ სფეროში არსებულ საკმაოდ დიდ და საინტერესო მიღწევებზე, რომელიც ძალიან მოკლე დროში იქნა მიღწეული.

**საკვანძო სიტყვები:** იუვენალური, არასრულწლოვანი, სპეციალიზაცია, განრიდება, მედიაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სფერო, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახლა იქმნება და უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების მცირე პერიოდში მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს სახეზე.

მიუხედავ ცალკეული ჩანასახების არსებობისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მუდმივი ინტერესისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მისი კლასიკური გაგებით ქართულ სამართლებრივ სივრცეში 2016 წელს იწყებს ჩამოყალიბებას.

2016 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სისხლისსამართალწარმოების ცალკეული საკითხები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირდებოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართალწარმოების თავისებურებებს მხოლოდ 1 თავი ეთმობოდა, რომელიც საკმაოდ ზერელედ არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს.

ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც სწორედ 2016 წლის პირველი ინავერიდან ამოქმედდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს სრულიად სამართლიანად „რევოლუციურ პროექტსაც“ უწოდებდნენ ქართულ სამართლებ-

რივ სივრცეში და სრულიად სამართლიანადაც. მაშინ როდესაც ბავშვთა უფლებები ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში პრიორიტეტია, როდესაც ნებისმიერი სახელმწიფო აცნობიერებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სწორი ფორმირება საფუძველია მომავალი თაობის სწორი ფორმირებისათვის, ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა ისტიტუციონალური მიდგომა ამ საკითხისადმი. სწორედ ამ ფონზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე მორგებული, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის შემოღება ნამდვილად ინოვაციური და რევოლუციური ნაბიჯი გახლდათ. აღნიშნული დოკუმენტი თავს უყრის არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, სისხლისსამართალწარმოების და პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სისხლისსამართალწარმოების ფარგლებში შემოიტანა მნიშვნელოვანი პრინციპები, რომელიც სწორედ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გარემოს არსებობას უზრუნველყოფს. ეს პრინციპები გახლავთ: არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა; ინდივიდუალური მიდგომა; პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა; პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გაუმჯობესებული პირობები; პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა.

აღნიშნული კოდექსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უკვე ინსტიტუციურად ყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო ან საგამომიებო სტრუქტურა დამოუკიდებელი სახით ჯერ კიდევ არ არსებობს.

იუვენალური იუსტიციის ისტორიული მიმოხილვამ და უცხო სახელმწიფოთა გამოცდილების შედარებითი ანალიზიმა საინტერესო სურათი მოგვცა, თუ როგორ ვითარდებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოყალიბება და ცალკე სისტემების შექმნა ამერიკასა და ევროპაში იწყება მე-19 საუკუნის 70-იან წლებში პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩნდება არასრულწლოვან დამნაშავეთა სამეურვეო მეთვალყურეობაში გადაცემის იდეა. მოგვიანებით, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ილიონისის შტატში - 1899 წელს, იქმნება არასრულწლოვანთა სასამართლო. არასრულწლოვანთა მიმართ პირველი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები მირებული იქნა ინგლისში 1908 წელს, ხოლო 1914 წელს ამერიკის გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება არასრულწლოვანთა სასამართლო საფრანგეთშიც.<sup>1</sup>

დღეს უკვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორ მოდელს გამოყოფენ, ესენია: ანგლო-საქსური იუვენალური იუსტიცია და ევროპული იუვენალური იუსტიცია. იუვენალური იუსტიციის ორივე მოდელისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელთა ლიბერალიზაცია და არასრულწლოვანთა სასამართლოები. ევროპული იუვენალური იუსტიციისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ თავისებურებას კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აღდგენილი მართლმსაჯულების ელემენტების ჩართვა და განრიდების სისტემების გათვალისწინება გახლავთ. ქართულმა იურისპრუდენციამ ევროპული იუვენალური სისტემის გამოცდილება გაიზიარა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში შემოიტანა განრიდება-მედიაციის პროგრამა.

იუვენალური იუსტიცია (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება) ერთ-ერთი მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში, არასრულწლოვნებზე ზრუნვა და მათ საჭიროებებზე მორგებული სამართლებრივი მექანიზმების შექმნა

<sup>1</sup> [https://www.ncjrs.gov/html/ojdp/9912\\_2/juv1.html](https://www.ncjrs.gov/html/ojdp/9912_2/juv1.html);  
<http://criminal.findlaw.com/juvenile-justice/development-of-the-juvenile-justice-system.html>;

დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო სისტემებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მიუხედავად ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მცდელობისა სრულყოფილებამდე იქნეს მიღწეული იუვენალური იუსტიცია, საერთო ცნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა არ არსებობს. საერთაშორისო სამართლებრივი პოლიტიკის დონეზე ყველა თანხმდება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეს არის არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის, სტრატეგიის, კანონმდებლობის, პროცედურებისა და პრაქტიკის სფეროში ერთიანი ჩამოყალიბებული, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე გათვლილი მიდგომები.<sup>2</sup>

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობამ იუვენალურ სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების შემოტანის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ერთ-ერთ მთავარ პრინციპად არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობა აღიარა, რითაც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს დაუწესა ვალდებულება, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მისი განრიდების შესაძლებლობა იქნეს განხილული და მხოლოდ მას შემდეგ დადგეს დღის წესრიგში არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, როდესაც არასრულწლოვნის მახასიათებლები და მის მიერ ჩადენილი ქმედება განრიდების გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა.


აღსანიშნავია, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამა ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე შემოვიდა ქართული სისხლისსამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების ფარგლებში. ფაქტობრივად აქედან იწყება გარდამტეხი ინოვაციური მექანიზმების ამოქმედება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ეს გახლდათ 2010 წელი. სწორედ 2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. თავდაპირველად, პროგრამა იყო საპილოტე და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს პროგრამას დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია. 2013 წლის აგვისტომდე პროგრამას ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.<sup>3</sup> საინტერესოა რა არის და რა მექანიზმს წარმოადგენს განრიდება-მედიაციის პროგრამა? განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოე-

<sup>2</sup> <https://definitions.uslegal.com/j/juvenile-justice/>

<sup>3</sup> [http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=1061&lang=geo;](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geo;)

ბის, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.<sup>4</sup> აღნიშნული პროგრამის შექმნასა და სრულყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს პროკურატურამ და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მიღწეულ დადებით შედეგებზე პირველ რიგში სწორედ არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი მეტყველებს. დღეს უკვე საქართველოს მასშტაბით განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა 1753-ია. პროგრამის ამოქმედებიდან (2010 წლიდან) დღემდე სულ განრიდებულია 1753 არასრულწლოვანი, რომელთაგან 2 განრიდდა 2010 წელს, 81 - 2011 წელს, 125 - 2012 წელს, 331 - 2013 წელს, 203 - 2014 წელს, 296 - 2015 წელს, 462 - 2016 წელს, ხოლო 253 - 2017 წლის პირველ 6 თვეში.<sup>5</sup>

**არასრულწლოვანთა (14-18 წლის) განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა 2012-2017 წლების 6 თვე**



აღნიშნული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს რომ ბოლო პერიოდში განრიდების მაჩვენებელი აშკარად მომატებულია. თუმცა, მხოლოდ განრიდების მშრალ ციფრების შედარება არ გვაძლევს სრულ სურათს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მიღწეულ შედეგებზე. კიდევ უფრო შთამბეჭდავია არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებლის ზრდა, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით. თუ 2014 წელს სულ დევნადაწყებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 29% იყო განრიდების მაჩვენებელი, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 44%-მდე გაიზარდა, ხოლო 2016-2017 წლებში 50%-ს გადააჭარბა - 2016 წელს განრიდების პროცენტული მაჩვენებელი 69% გახლდათ, ხოლო 2017 წლის 6 თვის მონაცემებით განრიდების პროცენტული მაჩვენებელი უკვე 67%-ია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტურობაზე განრიდების ხელშეკრულების დარღვევის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს, 2017 წლის 6 თვის მონაცემებით 253 განრიდებული არასრულწლოვანიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 4-მა არასრულწლოვანმა, ხოლო ხელ-


<sup>4</sup> [http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=1061&lang=geo;](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geo;)

<sup>5</sup> <http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F19%20%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf> ;



შეკრულების პირობები სხვაგვარად დაარღვია შვიდმა არასრულწლოვანმა. ანუ, 2017 წლის 6 თვეში განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 1,5%-მა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, ხოლო ხელშეკრულების პირობები დაარღვია მხოლოდ 2,7%-მა.<sup>6</sup>

**არასრულწლოვანთა (14-18 წლის) განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის პროცენტული მაჩვენებელი**



მიუხედავად განრიდება-მედიაციის პროგრამის ასეთი ეფექტური და წარმატებული გამოყენებისა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. პირველყოვლისა აუცილებელია ამ მექანიზმზე საზოგადოების სწორი ინფორმირება, რათა არ გაჩნდეს ილუზია, რომ აღნიშნული პროგრამა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს დაუსჯელს ტოვებს. ის, რომ განრიდებულ არასრულწლოვანს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არ რჩება ნასამართლობა, ეს არ ნიშნავს, რომ ის პასუხს არ აგებს ჩდენილი ქმედებისთვის. სახელმწიფო ამ პროგრამაში ჩართვით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს არ უმახინჯებს მომავალს და საშუალებას აძლევს ცალკეული ვალდებულებებით და არასრულწლოვანის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით გააცნობიეროს ჩადენილი დანაშაული და განიცადოს პასუხისმგებლობის გრძნობა ჩადენილი ქმედებისადმი. ასევე, მედიაციის პროცესში ჩართვით და დაზარალებულთან კომუნიკაციით გაიზროს ის შედეგები, რომელიც მის მიერ ჩადენილ ქმედებას მოყვა. მეორე გამოწვევა, განრიდება-მედიაციის პროგრამის სწორედ არასრულწლოვანის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ვალდებულებების გაწერაა, რაც სახელმწიფოში სოციალური და ფსიქოლოგიური, სარეზილიტაციო სერვისების სიმწირის ფონზე საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

<sup>6</sup><http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F19%20%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf> ;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ლიბერალურ მიდგომებსა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამართალწარმოების განხორციელებაზე მიუთითებს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დაბალი მაჩვენებელიც. 2017 წლის პირველ 6 თვეში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დევნადაწყვეთულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 9,7%-ის მიმართ იქნა გამოყენებული.

გარდა განრიდება-მედიაციის პროგრამის ამოქმედებისა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვან მიღწევას სპეციალიზაციის საკითხი წარმოადგენს. 2016 წლამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებდა პროცესის მწარმოებელ პირებს გავლილი ჰქონოდათ გადამზადების კურსი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში და არანაირ სპეციალიზაციის მოთხოვნას არ ითვალისწინებდა. დღეს უკვე არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე გამომძიებლები, პროკურორები, ადვოკატები და მოსამართლეები გადიან სპეციალიზაციის კურსს, რაც მხოლოდ სერთიფიცირებით არ შემოიფარგლება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კერძოდ აღნიშნული სტანდარტი დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №668 ბრძანებით. მოსამართლეების შემთხვევაში სპეციალიზაციის სტანდარტი დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მიუხედავად ასეთი მიდგომისა სპეციალიზაციის ბრძანებები არ არის სათანადოდ დეტალიზებული, მაგალითად არ ითვალისწინებს უკვე სპეციალიზებულ პირთა პერიოდული გადამზადების ვალდებულებას. აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე უფრო დეტალურ რეგულაციებს საჭიროებს. ამდენად, მიუხედავად სპეციალიზაციის საკითხში მნიშვნელოვანი წინსვლისა, ამ სფეროშიც რჩება რიგი თემებისა, რომელიც მეტ დეტალიზებას და კონკრეტიზაციას საჭიროებს. სისტემა ვერ იქნება გამართული თუ მის ფუნქციონირებას კვალიფიციური და შესაბამისი ღირებულებების მქონე პირები არ ახდენენ. ერთჯერადი გადამზადება და კვალიფიკაცია კი ვერ შექმნის სათანადო ადამიანურ რესურსს. გარკვეული პერიოდის შემდეგ სავალდებულო უნდა იყოს სპეციალიზებული პირის კვალიფიკაციის გაღრმავება და თუნდაც საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამასთან, საინტერესოა რამდენად საკმარისია მხოლოდ პროცესის მწარმოებელ პირთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფისთვის სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. უქმნის კი მოხლოდ სათანადოდ გადამზადებული სპეციალისტი სათანადო „კომფორტს“ არასრულწლოვანს და უზრუნველყოფს კი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებას? აღნიშნული საკითხი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოწესრიგებული. რადგან არასრულწლოვანზე მორგებული გარემო გულისხმობს არამხოლოდ ნორმატიული ბაზის შექმნას და სამართალწარმოების პროცესში მონაწილე პირთა გადამზადებას, არამედ მატერიალური კუთხითაც სათანადო პირობების შექმნას. აღნიშნულის უზრუნველყოფას სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გზებით ახდენენ. არიან სახელმწიფოები, რომლებიც არსებულ სამართალდაცავ სტრუქტურათა ფარგლებში ახდენენ არსრულწლოვანზე მორგებული გარემოს შექმნის უზრუნველყოფას და არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ინსტიტუციურად სრულიად სხვაგვარ სტრუქტურას ქმნიან და აყალიბებენ, მაგალითად არასრულწლოვანთა დამოუკიდებელ სასამართლოებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება საქმეთა გამოძიებაც და სასამართლო განხილვაც. ასეთია: გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ-ის ზოგიერთი შტატი. საქართველომ ამ კუთხითაც უნდა იფიქროს და დახვეწოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ინსტიტუციურ-ორგანიზა-

ციული კუთხითაც. პირველი ეტაპისთვის თუ დამოუკიდებელ ისტიტუციურ ორგანოზე - არასრულწლოვანთა სასამართლოზე უარს ვიტყვით, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ცალკეულ საგამოძიებო თუ სასამართლო ადმინისტრაციულ შენობებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

ამდენად, საქართველოსთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო ფაქტობრივად ახლა ყალიბდება და ბუნებრივია, რომ დიდ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხებისა რომლებიც მოგვარებას საჭიროებს, მათ შორის დასახვეწია ცალკეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც პრაქტიკას არ მიცემს ორაზროვანი და არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას მაგალითად ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში როგორცაა არასრულწლოვანის წარსული ნასამართლობისა და წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი სამართლებრივი განმარტების თემა.

მთავარია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეფუძნებოდეს იმ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომელიც ამ სფეროს განვითარებისა და წინსვლის ამოსავალია. ეს გახლავთ: სისხლისსამართალწარმოების სფეროში მოხვედრილი არასრულწლოვანისა და მისის ოჯახის წევრებისათვის ხელის შეწყობა; ოჯახის, საზოგადოებრივი ჯგუფების, მათ შორის სკოლების მობილიზება არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის; არასრულწლოვანთა მიმართ ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობა. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ითვლებოდეს თითოეული სახელმწიფოს ეროვნული განვითარების ნაწილად და უნდა ვითარდებოდეს სისტემატიურად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მექანიზმების ეფექტური ამოქმედება რჩება. 2012 წლის 22 მარტს საქართველოს პრეზიდენტის №235 ბრძანებულებით დამტკიცდა „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია.“ ეს საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი დოქტორნალურად ყურადღასაღებ და მნიშვნელოვან საკითხებზე აკეთებს აქცენტებს. გაწერს სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში და მაკორდინირებელი ორგანოს ფუნქციას იუსტიციის სამინისტროს აკისრებს. ასევე, გამოყოფს რისკ ჯგუფებს, რომლებიც განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებენ და მიუთითებს რისკფაქტორებზეც, რომლებიც გამოკვეთილი წინაბირობაა რიგ შემთხვევებში არასრულწლოვანთა მხრიდან სხვადასხვა სახის ანტისოციალური აქტივობების დაწყების საშიშროების პრევენციის სტრატეგიას, მაგრამ სხვა საკითხია რამდენად ეფექტურია სტრატეგიის განხორციელება. 2012 წელსვე იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში სსიპ-ის ფორმით ჩამოყალიბდა დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის ძირითად ფუნქციას დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკ ჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება წარმოადგენს. დანაშაულის პრევენციის ცენტრზე უშუალო კონტროლს იუსტიციის მინისტრი ახორციელებს. მიუხედავად აღნიშნულისა, პრობლემად რჩება პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა, დღემდე პრობლემურია 14 წლამდე ასაკის პირთა გადამისამართება შესაბამის სტრუქტურებში, მათთვის სათანადო ფსიქორეაბილიტაციური თუ სოციალური პროგრამების შეთავაზება და ა.შ.

ამდენად, ნაშრომზე მუშაობისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მიღწევები გამოიკვეთა, ცალსახა გახდა თუ რამდენად ლიბერალურია დღევანდელი კანონმდებლობის მიდგომა არასრულწლოვანთა მიმართ. უკვე აღვნიშნეთ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ცალსახად ავალდებულებს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირს, რომ პრიორიტეტულად განიხილოს კანონთან კონ-



ფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნული მიდგომების პრაქტიკაში რეალიზება სტატისტიკურმა ინფორმაციამაც დაადასტურა. სტატისტიკური ინფორმაციით ნათელი გახდა, რომ ნამდვილად უკიდურეს შემთხვევაში ხდება არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. დავინახეთ ის ძირეული რეფორმები, რომელიც ამ სფეროში გატარდა, განსაკუთრებით სპეციალიზაციის საკითხთან მიმართებით. თუმცა არსებული პრობლემებიც ნათელი გახდა. პრობლემები, რომელიც მოგვარებადია და რომელთა დაძლევა იუვენალური იუსტიციის განვითარების ფეხდაფეხ აუცილებლად მოხდება.